

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგები:
რუსეთის მიერ განხორციელებული სამხედრო აგრესიის
შედეგად განვითარებული რუსულ-დასავლური
ურთიერთობები და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის
დამოუკიდებლობის აღიარება

თამარ მურადაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე
საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გია ნოდია, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

თამარ მურადაშვილი

6.07.2015

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის დაწერის ძირითადი მიზანია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების შეფასება საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი გავლენიანი თეორიის, პოლიტიკური რეალიზმის ჭრილში.

ნაშრომის მიზანია აჩვენოს, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული სამხედრო აგრესია და სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარება ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა, კერძოდ, საქართველოს პროდასავლური საგარეო პოლიტიკის კურსის შეცვლას, რათა არ დაეკარგა გავლენა ყოფილ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაზე და შესაბამისად გავლენა მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

ნაშრომი მეთოდოლოგიურად თვისებრივი კვლევის კატეგორიაში მოიაზრება და საბაზისო მეთოდოლოგიურ მიდგომად შემთხვევის შესწავლის მეთოდს იყენებს.

ნაშრომი ეყრდნობა აგვისტოს ომის ირგვლივ არსებულ წიგნებს, აკადემიურ სტატიებსა და ჩაღრმავებულ ინტერვიუებს.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ რუსეთის მხრიდან საქართველოში განხორციელებული სამხედრო აგრესიის უმთავრეს მიზანს ქვეყნის პროდასავლური ორიენტაციის შეცვლა და დასავლეთის სამყაროსათვის იმის დემონსტრირება წარმოადგენდა, რომ არ შეურიგდება თავისი ზეგავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნების არჩევანის თავისუფლებასა და რუსეთისგან დამოუკიდებლად გადადგმულ ნაბიჯებს. სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარება და რუსულ-დასავლური ურთიერთობები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პოლიტიკური რეალიზმი, რესპუბლიკა, სეპარატიზმი.

Abstract

The main goal of this research paper is to determine the main consequence of 2008 Russian-Georgia war, in the context of the most popular theory, political realism, of international relations.

The Paper aims to show, that it was impossible to avoid the war, the major cause of which was the European integration choice made by Georgia, and that the sole purpose of the Russian military aggression on the territory of Georgia and the recognition of the breakaway regions was to change Georgia's pro-Western foreign policy in order not to lose control over the former post-Soviet republic and hence over the South Caucasus region entirely.

This work implied in the category of methodologically qualitative research and uses the method of case-studying as a basic methodological approach.

The work is based on war books, academic articles, and in-depth interviews.

The research revealed that, the main goal of the Russian aggression was to change Georgia's pro-Western orientation and to show the western world that Russia will not reconcile with Georgia's freedom of choice. These two result, recognition of the separatist region and Russia-western relationship are interrelated.

Basic key words: political realism, republic, separatism.

მადლობა

განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს პროფესორ გია ნოდის. მან საკუთარი კრიტიკული მოსაზრებებით, რჩევებით და წინადადებებით მნიშვნელოვანი დახმარება აღმომიჩინა კვლევის ყველა ეტაპზე.

დიდ მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს, ვინც დატვირთული გრაფიკის მიუხედავად დამთანხმდა ინტერვიუზე. ჩემს მიერ რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების კვლევის პროცესში ინტერვიუს სახით მონაწილეობა მიიღეს ქვემოთ ჩამოთვლილმა სახელმწიფო მოხელეებმა და ექსპერტებმა, რისთვისაც გამოვხატავ მათ მიმართ მადლიერებას:

- თამარ ბერუჩაშვილი- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი;
- ელენე ხოშტარია-საქართველოს რეფორმების ასოციაციის თავჯდომარე;
- დავით დარჩიაშვილი-ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
- კონსტანტინე გაბაშვილი- საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

ასევე, დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც კვლევის პროცესში არაერთი საგულისხმო რჩევა მომცა.